პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოდის 22-ე წელი.

№ 19 (2996) ● ხუთშაბათი, 27 იანვარი, 1966 წ. ● ფასი 2 კაპ.



გუშინ...

## „დინამო“ (კიევი) — „სელტიკი“ (გლაზგო) 1:1

# მიზანი... ნახევარფინალი

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 26 იანვარი.

„დინამო“ (კიევი) — „სელტიკი“ (გლაზგო) 1:1 (1:1).

„დინამო“: ბანიკოვი, შჩეგოლკოვი, სოსნიხინი, ტურიანჩიკი, ლევჩენკო, საბო, მედვიდი, ბაზილევიჩი, სერებრიანიკოვი, ბიბა, ხმელნიცკი.

„სელტიკი“: სიმპსონი, გრეიგი, გემელი, მაკ-ნეილი, კაშლი, კლარკი, ჯონსტონი, მერდოკი, მაკბრაიდი, ჩალმერსი, ჰიუზი.

მსაჯი ა. ზბადელა (იტალია).

გუშინდელი მატჩის წინ „სელტიკის“ ფეხბურთელებს გასახდელში სიტყვა ჩამოვუგდეთ იმის თაობაზე, რომ თბილისში 1962 წელს იმყოფებოდა შოტლანდიის საუკეთესო გუნდი „გლაზგო რეინჯერსი“, რომელმაც, მოპოვებული გამარჯვების მიუხედავად (1:0), მაყურებლებზე ვერ დატოვა მაინცდამაინც დიდი შთაბეჭდილება.

— რა თამაში იყო? — შეგვეკითხნენ ფეხბურთელები.

— ამხანაგური.

— აა! ალბათ, არ ღირდა საამისოდ.

— დღეს რას აპირებთ?

— ბევრს არაფერს. თუ წავაგეთ ანგარიშით 1:3, ყველაფერი წესრიგშია.

„სელტიკმა“ სწორედ ასეც ითამაშა. არავითარი იმპროვიზაცია, რისკი ან ფანტაზია. გუნდში იყო 7 მცველი და 3 თავდამსხმელი. კარის წინ შოტლანდიელები არ უშვებდნენ არც ერთ შეცდომას, შუა მინდორზე ინიციატივის მოპოვებისა და თამაშის გაშლისთვის მათ არც შეუწუხებიათ თავი და არც ცდილან საეგებიოდ გაეხადათ საქმე. საჭირო იყო დროს გაყვანა — მათ გაჭყავდათ დრო, საჭირო იყო ბურთის თამაშგარეთ გაყვანა—გაჰყავდათ, საჭირო იყო უხეშობა, საპასუხო თუ წამოწყებული, უხეშობდნენ, დაბოლოს — საჭირო იყო ნახევარფინალში გასვლა — გავიდნენ. „მაღალი მატერიები“, ლამაზი ფეხბურთი მათ არ აინტერესებდათ. მიიღეს გოლი — გაქვითეს იგი.

საქმიანი, უკიდურესად საქმიანი განწყობილება სუფევდა „სელტიკში“ და მხოლოდ მარცხენა გარემარბი ჰიუზი და ზოგჯერ მისი მარჯვენა კოლეგა ჯონსტონი თუ მიმართავდნენ „სოლურ“ ნომრებს. დანარჩენ შემთხვევებში გუნდი მოქმედებდა წინასწარ დაგეგმილი, მკაცრი განაწესით: ყველაფერი ნახევარფინალისთვის! სტუმრებს ჰქონდათ კონკრეტული ამოცანა, რომელიც ურყევად განაგებდა მათს თამაშს.

კიეველები, მართლაც, ძნელ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. პირველი მატჩის კომპენსაცია ძალზე რთული საქმე გამოდგა, ვინაიდან „სელტიკის“ დაცვის ბასტიონები უდრეკად იდგა 90 წუთის განმავლობაში. ინდივიდუალური გარღვევებისა შოტლანდიელებს არ ეშინოდათ, ვინაიდან ურთიერთდაზღვევა მათს საჯარიმო მოედანზე ზუსტად იყო მოწესრიგებული და დინამოელებმა ისე დაამთავრეს თამაში, რომ სულ სამჯერ შექმნეს ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობა. შეიძლება უფრო ეფექტური ყოფილიყო შორი მანძილიდან ზუსტი და მოულოდნელი დარტყმები, როგორიც საბომ გამოიყენა 25 მეტრის დისტანციიდან, მაგრამ ეს დარტყმა და მასთან ერთად გოლიც, გამონაკლისი აღმოჩნდა. „სელტიკმა“ გაშვებულ ბურთს მკვეთრი კონტრშეტევით უპასუხა და გემელმა შეძლო საპასუხო გოლის გატანა — 1:1.

მეორე ტაიმში ტერიტორიული უპირატესობა კიეველებს ჰქონდათ, მაგრამ მეტოქის საჯარიმო მოედანზე მათ დარტყმის საშუალება თითქმის არა ჰქონდათ, სხვა ტაქტიკური გზები დინამოელებმა კი ვერ მოძებნეს. ამას დაემატა ორმხრივი უხეშობაც, რის გამო მინდვრიდან იქნენ გაძევებული გრეიგი და ხმელნიცკი.

„სელტიკმა“ შეინარჩუნა ფრე და მიიღო ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ნახევარფინალში თამაშის უფლება.

რ. ქორიძე.

• • •

სურათებზე: მატჩის მომენტები.

ფოტო მ. ზარგარიანისა.





მერდოკი



ჰიუზი

მეგობრული შარჟები

გ. ფირცხალავასი.

◆ დავოსი (შვეიცარია), 26 იანვარი. ჰოლანდიის ქალაქ დევენტერში ევროპის მოციგურე ვაჟთა ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ საბჭოთა სპორტსმენები აქ ჩამოვიდნენ და ადგილობრივ [illegible] საკაცუროზე გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში მიიღეს მონაწილეობა. 500 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა ვ. ორლოვმა — 40,5 წამი. ეს შედეგი საუკეთესოა წლეულს მსოფლიოში. ევროპის აბსოლუტურმა ჩემპიონმა ა. სხენკმა (ჰოლანდია) დაამყარა მსოფლიოს ახალი რეკორდი 1500 მეტრზე რბენაში — 2.06,2.

◆ ველინგტონი, 26 იანვარი. ახალ ზელანდიაში საბჭოთა მძლეოსნების მორიგი გამოსვლა გაიმართა ამ ქალაქის სტადიონზე, სადაც კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს ავსტრალიელი პ. კილბორნი და ი. პრესი (სსრ კავშირი). 80 მეტრზე თარჯრბენში ავსტრალიელმა კიდევ ერთხელ იზეიმა გამარჯვება. მისი დროა 10,8. პრესი მეტოქეს 0,1 წამით ჩამორჩა. 5000 მეტრზე რბენაში საბჭოთა მძლეოსან ლ. ივანოვს გაუსწრეს ახალზელანდიელებმა ბ. ბეილიმ და მ. რაიანმა. გამარჯვებულის — ბეილის დროა 13.59,6. ივანოვმა და რაიანმა ერთნაირი დრო (14.01,2) აჩვენეს. ამ ქვეყნის სტადიონებზე ბირთვის კვრაში თავისი „სარეკორდო“ შედეგი ჰქონდა თ. პრესს — 17,37 მ, რაც სეზონის საუკეთესო მაჩვენებელია მსოფლიოში. ვ. კუდინსკიმ (სსრ კავშირი) 1500 მეტრზე მოსინჯა ძალები და ადვილად მოიგო შეჯიბრება — 3.49,7.

● მოსკოვი, 26 იანვარი. სსრ კავშირის ჩემპიონი — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის წყალბურთელთა გუნდი დღეს გაემგზავრა იტალიის ქალაქ გენუას, სადაც გაიმართება ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ნახევარფინალური ტურნირი. საბჭოთა წყალბურთელებთან ერთად აქ გამოვლენ იტალიის „პრორეკოს“, უნგრეთის „ფერენცვაროშისა“ და ესპანეთის „ბარსელონას“ გუნდები.

# მარცხიანი სტარტი

სან-პაულუ, 26 იანვარი. მარცხით დაიწყო სამხრეთ ამერიკაში ახალი ტურნე სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა. ანგარიშით 1:3 გუშინ მან წააგო ერთ-ერთ საუკეთესო ადგილობრივ გუნდთან — „კორინტიანსთან“. იგრძნობოდა ჩვენი სპორტსმენების შეუთამაშებლობა და მოდუნება. თავდამსხმელებმა მეტოქის კართან თითქმის ვერც ერთი სახიფათო მომენტი ვერ შექმნეს.

ბრაზილიელებმა მე-7 წუთზე გახსნეს ანგარიში (ტეილსი). მეორე ტაიმის შუაში მსაჯმა სტუმართა კარში დანიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო, რაც ზუსტად გამოიყენა ბრაზილიური ფეხბურთის ვარსკვლავმა ფლავიომ. 85-ე წუთზე საბჭოთა მცველებს გაუსხლტა რიველინო და ანგარიში გახდა 3:0. და მხოლოდ მაშინ, როცა საფინალო სასტვენს 3 წუთი აკლდა, ვორონინმა თავით გაიტანა ერთადერთი ბურთი „კორინტიანსის“ კარში.

საბჭოთა გუნდის მარცხი შეიძლება ნაწილობრივ ავხსნათ თვენახევრიანი შესვენებით და მძიმე კლიმატური პირობებით, რომელთან შეჩვევაც ჩვენებმა ვერ მოასწრეს.

სსრ კავშირის ნაკრები მინდორზე ასეთი შემადგენლობით გამოვიდა: კავაზაშვილი, პონომარიოვი, შესტერნიოვი, აფონინი, დანილოვი, ვორონინი, ჰუსაინოვი, ჩისლენკო, მალაფეევი, კოპაევი, მესხი. II ტაიმში მალაფეევი და კოპაევი შეცვალეს მეტრეველმა და ბანიშევსკიმ.

კვირას საბჭოთა გუნდი სან-პაულუში ეთამაშება რიო-დე-ჟანეიროს „ფლამენგოს“.

# ვეტერანთა აზრით...

მატჩის დამთავრების შემდეგ ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა ქართული ფეხბურთის ვეტერანებს. აი, მათი მოსაზრებები გუშინდელ თამაშზე:

**მ. ბერძენიშვილი,**
**სპორტის დამსახურებული ოსტატი.**

შოტლანდიელი ფეხბურთელები თამაშობენ მეტისმეტად მკაცრად, ძალისმიერად, სრულიად არ იტოვებენ დროს და საშუალებას გარეგნული ეფექტებისთვის. გარდა ამისა, ისინი პირისპირ ბრძოლაში მეტოქეს არ აძლევენ თავისუფალი მოქმედების უფლებას. მათი მიზანი იყო დაცვა და ეს მიზანი შესრულებული იქნა.

კიევის „დინამო“ არ მომეწონა (გარდა სერებრიანიკოვისა). ასეთი თამაშით, კარში დაურტყმელად პასიურ ბალანსს (0:3) ძვრას ვერ უზამ. ამიტომ ნახევარფინალში კიეველთა გასვლის პერსპექტივას ვერ ვხედავდი. მსაჯობა საუკეთესო იყო.

**გ. გაგუა,**
**სპორტის დამსახურებული ოსტატი.**

თამაში არ მომეწონა. ასეთ მატჩებს საკავშირო პირველობაზე უსტვენენ. განა შეიძლება ფეხბურთი მხოლოდ ქულებს და „ბუღალტერიას“ დაექვემდებაროს? ხომ ნათელი შეიქნა მეორე ტაიმში, რომ „სელტიკი“ თამაშს არ წააგებდა ისეთი ანგარიშით, რომ ნახევარფინალში არ გასულიყო? მიუხედავად ამისა, შოტლანდიელები ბოლომდე დარჩნენ თავიანთი ტაქტიკის ურყევი მიმდევრები. ამოცანა მათ შეასრულეს, მაგრამ, ჩემი აზრით, მაყურებლის გული ვერ მოიგეს.

კიეველთა მდგომარეობა გასაგებია: ერთის მხრივ, შიში საკუთარ კარში გოლის გაშვებისა, მეორეს მხრივ, — მეტოქის კარის აღება ხულ ცოტა სამჯერ. ასეთ ვითარებაში ძალზე ძნელია თავისუფლად და სრული ძალით თამაში. მომეწონა „სელტიკის“ მარცხენა გარემარბი ჰიუზი, თუმცა, მან მხოლოდ პირველ ტაიმში ითამაშა რიგიანად.

„ლელო“ ინტერვიუ

**ა. დოლიძე... [ა. ღოღობერიძე,]**

**ა. ღოღობერიძე,**
**სპორტის დამსახურებული ოსტატი.**

რა თქმა უნდა, გუშინდელი მატჩისგან მეტს მოველოდი. ამბობენ, შოტლანდიელები თამაშის მანერით ინგლისელებს ჰგვანანო. მე ინგლისელები ბევრჯერ მინახავს და მათს სტადიონებზეც მითამაშია. რა შედარებაა! ნამდვილი ფეხბურთელი „სელტიკში“ არის მარცხენა გარემარბი ჰიუზი.

შოტლანდიელებმა მთელი თავიანთი ფეხბურთი ამოსწურეს ანგარიშში, რომელიც მათ ხელს აძლევდა, თამაში კი ვერ გვაჩვენეს, თუმცა საამისო მათ არაფერი ჭირდათ. შესვენების შემდეგ, როცა მატჩის ბედი ფაქტიურად გადაწყვეტილი იყო, მათ შეეძლოთ თავისუფლად ეთამაშათ და შესაფერისი ხარკი მიეზღოთ ფეხბურთისთვის, როგორც ხელოვნებისთვის. ეს კი „სელტიკმა“ არ ისურვა ან ვერ შეძლო.

**ს. ჯეჯელავა,**
**სპორტის ოსტატი.**

შოტლანდიელებმა ითამაშეს ისე, როგორც მათ შექმნილი მდგომარეობა კარნახობდა. საჭირო იყო დაცვა, მათაც დაიცვეს თავი, ამასთან კარგად გამოიყენეს ზონალური მოქმედების პრინციპი. გრძელი გადაცემა და კონტრშეტევა დაცვიდან მათი ტაქტიკური ხერხია და იგი კარგად იქნა გამოყენებული. საუკეთესო მოთამაშე სტუმართაგან იყო ჰიუზი (№ 11).

კიეველებზე რა უნდა ვთქვა. ნერვულობა და ნაჩქარეობა ასეთ შემთხვევებში მხოლოდ მტერია გუნდისა. ამას გარდა, გასაკვირია, რათ უნდოდათ დინამოელებს მაღალი გადაცემები: ისინი ხომ სისტემატურად აგებდნენ ბრძოლას ჰაერში. ერთი სიტყვით, თამაში „სელტიკის“ გეგმით წავიდა.

მსაჯი ძალზე კვალიფიციურად უძღვებოდა თამაშს.

## აქედანვე ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის

# რა აფერხებს წინსვლას

ახლა, როცა უკან დარჩა შარშანდელი სეზონი, საშუალება გვეძლევა კრიტიკული თვალით გადავხედოთ საქართველოში ახალგაზრდა მძლეოსნებთან ჩატარებულ მუშაობას, ავწონ-დავწონოთ მიღწევები და დავსახოთ მომავლის ამოცანები. გასული სეზონით ერთგვარად კმაყოფილი უნდა ვიყოთ, ვინაიდან მოსწავლეთა და იუნიორთაგან ამდენი მაღალთანრიგოსანი არც ერთ წინა წელს არ მომზადებულა (მით უმეტეს, რომ რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრებს შევსება მისცა მძლეოსნობაში მომუშავე მწვრთნელთა მხოლოდ 10 პროცენტმა და ისიც ძირითადად ახალგაზრდა სპეციალისტებმა).

პერსპექტიული მძლეოსნების გამოვლენა-აღზრდაში თავი გამოიჩინა სპორტის ოსტატმა რ. ჯარაშნელმა. მისი აღზრდილებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ნ. საგანელიძე, რომელმაც მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში 195 სმ გადალახა და IV ადგილი დაიკავა, წლის ბოლოს კი 203 სმ დაძლია და ოსტატობის ნორმა შეასრულა.

ნიჭიერი ბირთვის მკვრელი „აღმოაჩინა" ხაშურელმა მწვრთნელმა ვ. ზანიერმა. 16 წლის ა. ჟამკოციანმა ჯერ საქართველოს პირველობა მოიგო საშუალო ასაკის თანატოლებში, შემდეგ კი უფროსი ასაკის მოსწავლეებსაც აგრძნობინა თავისი ძალა და მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის საგზურს დაეპატრონა. ჩემი აზრით, სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაში მას ჭაბუკთა შორის საპრიზო ადგილის მოპოვების შანსი აქვს.

ათჭიდში საქართველოს რეკორდსმენი ვ. დენისენკო მოამზადა რუსთაველმა მწვრთნელმა ა. შახოვცევმა. ახალგაზრდა მწვრთნელმა რ. ოდიშარიამ აღზარდა მოსწავლეთა სპარტაკიადის ჩემპიონი თარჯრბენში ზ. ალხანაიძე (ამ ჭაბუკის პირველი მწვრთნელი იყო ზემო ალვანის სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი მ. მოზაიძე), ყ. საბანაშვილმა — სპარტაკიადის ჩემპიონი ბადროს ტყორცნაში (საშუალო ასაკი) შ. ხულელაძე (პირველი მწვრთნელი — ყაზბეგის რაიონის სოფელ არშის სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი შ. მარსაგიშვილი). სპორტის დამსახურებული ოსტატის ნ. დვალიშვილის აღსაზრდელმა ც. ჩოლიაშვილმა (პირველი მწვრთნელი — ანანურის სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი დ. ქავთარაძე) გოგონათა შორის სიგრძეზე ხტომაში ოსტატობის კანდიდატობა მოიპოვა, ხოლო მ. ოჰანესიანცმა 80 მეტრზე თარჯრბენში შეასრულა I თანრიგი, ბ. ტყეშელაშვილის აღსაზრდელმა თ. მდინარაძემ (პირველი მწვრთნელი — მახარაძელი ვ. ერქომაიშვილი) I თანრიგი აჩვენა სპრინტში. საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ვ. ედოვინმა რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრებს აღუზარდა 4 მძლეოსანი, რომელთაგან ჯ. ღონღაძემ (პირველი მწვრთნელი — კორტანეთის სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი მ. ქვრივიშვილი) I თანრიგი მოიპოვა ბადროს ტყორცნაში.

კარგად იმუშავა აგრეთვე საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა, სოხუმელმა ა. კერსელიანმა, რომელმაც რამდენიმე კარგი მძლეოსანი გამოზარდა. მაგალითად, ს. პოლმა გოგონათა რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა შუბის ტყორცნაში (44,09 მ), შეასრულა I თანრიგი და II ადგილი დაიკავა საკავშირო სპარტაკიადაში; კ. ნარმანიამ საქართველოს ჭაბუკთა რეკორდი დაამყარა 110 მ თარჯრბენში (15,4); გ. სანეევმა სიგრძეზე ხტომაში ჯერ ევროპის ჭაბუკთა პირველობა დაისაკუთრა, მერე კი ზნამენსკების მემორიალზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ქუთაისელი მწვრთნელის დ. ეფრემაშვილის აღსაზრდელმა ჯ. ჩუბინიძემ დაამყარა გოგონათა რესპუბლიკური რეკორდი (უმცროსი ასაკი) სიმაღლეზე ხტომაში — 158 სმ, რაც I თანრიგის ნორმას აღემატება. მისი თანაქალაქელის — ე. ალიზახოვის მოწაფე ი. კოზელსკიმ კი ჯერ სსრ კავშირის ჭაბუკთა პირველობა მოიგო 250 მ თარჯრბენში (დახურულ შენობაში), მერე ჭაბუკთა საკავშირო პირველობაზე ჩემპიონობა დაისაკუთრა 400 მ თარჯრბენში და მოზრდილთა რესპუბლიკური რეკორდიც დაამყარა — 53,1.

ნაყოფიერად იშრომეს მწვრთნელებმა ე. გაგუამ, ა. სადოვოიმ, თ. ბურიაკოვმა, გ. ნადირაშვილმა, გ. სუხოტინმა, ო. ელიაშვილმა და სხვ. ყველამ ერთად შარშან მოამზადა 26 პირველთანრიგოსანი, 3 ოსტატობის კანდიდატი და 4 სპორტის ოსტატი; გაუმჯობესდა 5 რესპუბლიკური რეკორდი. განსაკუთრებით კარგად იმუშავა თბილისის განათლების განყოფილების მძლეოსნობის სკოლამ (დირექტორი ე. გაგუა).

მაგრამ შეცდომა იქნებოდა წარმატებათა მიღმა არ დაგვენახა ის ხარვეზები, რომლებიც ხელს გვიშლიდნენ წინსვლაში.

მძლეოსნობას კვლავინდებურად ცუდად ასწავლიან სკოლებში. რესპუბლიკას მეტისმეტად მცირე შევსებას აძლევენ ბათუმისა და ცხინვალის განათლების განყოფილებათა ბავშვთა მძლეოსნური სპორტსკოლები. ბათუმიდან საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებში მოხვდა 2 მეორეთანრიგოსანი, ცხინვალის სპეციალიზებული სპორტსკოლიდან კი — არც ერთი. მძლეოსანთა გუნდის ახალი კადრებით შევსებისთვის არაფერს აკეთებენ „ბურევესტნიკის" ორგანიზაციები. ისინი უმაღლეს სასწავლებლებში შესული, უკვე მზამზარეული სპორტსმენებით კმაყოფილდებიან (!). საქმეს ისიც აფერხებს, რომ უკმარი რაოდენობით ეწყობა ბავშვთა რესპუბლიკური შეჯიბრებანი, საქალაქო და რაიონულ ასპარეზობებზე რომ არაფერი ვთქვათ.

სპორტსმენთა ტექნიკის სრულყოფისთვის აუცილებელია არა მარტო ხშირი შეჯიბრებები, არამედ თანამედროვე წვრთნის მეთოდების გამოყენება — კარგად დაგეგმილი, რეგულარული სრულწლიური მუშაობა ხანგრძლივი დატვირთვით. საამისოდ მორბენლებისთვის საჭიროა რბილი ბილიკები, ხოლო მძლეოსნობის სხვა სახეობათა წარმომადგენლებისთვის — დახურული მანეჟები.

ამ საქმისთვის პასუხისმგებელი მუშაკები ხშირად იმიზეზებენ სახსრების უქონლობას და ეს მაშინ, როცა არსებულ თანხასაც კი ვერ ითვისებენ. მაგალითად, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სპორტსკოლას ჰქონდა საკმაო თანხა ძოეწყო საზაფხულო ბანაკი სპორტული სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებისთვის, მაგრამ, თურმე ნუ იტყვით, მათ ვერსად გამონახეს საამისო ადგილი (!). ასევე აუთვისებელი დარჩა სკოლის მძლეოსნური სექტორებისა და ბილიკების შესაკეთებლად გამოყოფილი თანხა.

ადრე ყოველწლიურად ეწყობოდა მოსწავლე-მძლეოსანთა საშემოდგომო რესპუბლიკური შეჯიბრება, რომელიც ავლენდა პერსპექტიულ ახალგაზრდებს. მწვრთნელთა ხაბჭო მათგან ადგენდა კანდიდატთა სიას და სახავდა მომავლის ამოცანებს. ამგვარი შეჯიბრების დებულება შარშანაც გაეგზავნა შესაბამის ორგანიზაციებს, მაგრამ პირველობა ჩაიშალა... ისევ სახსრების უქონლობის მომიზეზებით. და ეს მაშინ, როცა სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადას წელიწადნახევარი გვაშორებს. ეს ღონისძიება იმიტომაც იყო აუცილებელი, რომ წლეულს 2 საკავშირო (საგაზაფხულო და საშემოდგომო) პირველობა ეწყობა.

საჭიროა ბოლო მოეღოს „სპორტის დედოფლის" განვითარებისადმი გულგრილ დამოკიდებულებას. პერსპექტიული მძლეოსნების გამოვლენა-აღზრდას მთელი ძალ-ღონე უნდა მოვახმაროთ, თუ არა გაუხსნელი დარჩება ჩვენი პოტენციური შესაძლებლობანი და ნაკრები გუნდებიც საგრძნობლად დაზარალდებიან.

**ზ. ტახტაროვი,**
საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის ჭაბუკთა კომისიის თავმჯდომარე.

# ცხაკაიელთა მისაბაძი მაგალითი

ცხაკაიას რაიონული სპორტკავშირის თაოსნობით ამ დღეებში თბილისს ეწვია მასწავლებელთა და მოსწავლეთა ჯგუფი. სტუმართა შორის იყვნენ ცხაკაიას სპორტსკოლის დირექტორი შ. ჩიქობავა, სპორტკავშირის თავმჯდომარე გ. ბოკუჩავა, „კოლმეურნის" რაისაბჭოს თავმჯდომარე ა. ყურაშვილი. ცხაკაიელთა მიზანი იყო დედაქალაქის სპორტული ბაზების, ფიზაღზრდის მოწინავე მასწავლებლებისა და მწვრთნელთა მუშაობის გაცნობა.

თავდაპირველად სტუმრები ეწვივნენ თბილისის ი. გაგარინის სახელობის 77-ე საშუალო სკოლას. სკოლის დირექტორი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი გ. კობახიძე ცხაკაიელებს ესაუბრა სასწავლებლის ისტორიაზე, დაათვალიერებინა პლანეტარიუმი, სასწავლო ლაბორატორიები, კაბინეტები, სახელოსნოები... სტუმრები დაესწრნენ ფიზაღზრდის გაკვეთილებს V, VII და VIII კლასებში.

ცხაკაიას 1-ლი საშუალო სკოლის, ძველი სენაკისა და თეკლათის სკოლების ფიზაღზრდის მასწავლებლების ვ. ეჯიბაიას, ა. ესებუას, შ. შუბლაძის, კ. ჯოჯუასა და სხვათა შეკითხვებზე ფიზაღზრდის პედაგოგებმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა მასწავლებლებმა გ. ღლონტმა და ს. აკოფოვმა ამომწურავი პასუხები გასცეს, სტუმრებს გაუზიარეს მუშაობის გამოცდილება. ცხაკაიელები აგრეთვე კმაყოფილნი დარჩნენ 64-ე საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებლის დ. მახარაშვილის მიერ ჩატარებული გაკვეთილებით.

ცხაკაიელები გაეცნენ აგრეთვე ფიზკულტურის ინსტიტუტისა და II სკოლა-ინტერნატის მუშაობას. სკოლა-ინტერნატში დაესწრნენ ფეხბურთელთა და მძლეოსანთა საწვრთნელ მეცადინეობას, ხოლო ლენინის სახელობის სპორტდარბაზში — განათლების საქალაქო განყოფილების კომპლექსური სპორტსკოლის კალათბურთელ გოგონათა ვარჯიშს. ზემოაღნიშნული ვარჯიშები ჩაატარეს საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა თ. კუბლაშვილმა (ფეხბურთში), ე. გაგუამ (მძლეოსნობაში) და სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა გ. ბაბახანიდიმ (კალათბურთში).

ცხაკაიას სპორტკავშირმა ამ თაოსნობით უთუოდ მისაბაძი საქმე გააკეთა. კარგი იქნება, თუ სხვა რაიონთა სპორტის მესვეურებიც გამოცდილებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გაეცნობიან და კავშირს დაამყარებენ თბილისისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქების მოწინავე სპორტულ კოლექტივებთან.

**ვ. გენძიური.**

ს უ რ ა თ ზ ე: ცხაკაიას სპორტსკოლის კალათბურთელთა მწვრთნელი ო. ოდიშარია (მარცხნივ) ესაუბრება თბილისის განათლების განყოფილების ნორჩ კალათბურთელთა გუნდის მწვრთნელს გ. ბაბახანიდის.

ფოტო ავტორისა.



## გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

„ლელოს" რედაქციამ მიიღო წერილი სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევის ახალგაზრდებისგან. წერილში საყვედურს გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ „ჩვენს მიერ მოწყობილი ფეხბურთის მოედანი მოასწორეს და სრულიად სხვა საჭიროებისთვის გამოიყენესო".

როგორც „კოლმეურნის" რაისაბჭოს თავმჯდომარე ბ. მოსულიშვილი გვატყობინებს, წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. მიღებული ზომების შედეგად კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. გელაშვილმა ივალდებულა, რომ უმოკლეს დროში ბოდბისხეველ ახალგაზრდებს ექნებათ კეთილმოწყობილი სპორტული მოედნები.

## რკინიგზელი ათლეტები

ამიერკავკასიის რკინიგზის „ლოკომოტივის" კლასიკური სტილის მოჭიდავეთა პირად პირველობაში მონაწილეობდა თბილისის, ქუთაისის, ბაქოს, კიროვაბადისა და სამტრედიის 42 ათლეტი.

წონითი კატეგორიების მიხედვით საზოგადოების ჩემპიონები გახდნენ: გ. ღუჭაშვილი, ე. ღუდუშაური, ნ. ავდალიანი (ყველანი — თბილისი), რ. ცხადაძე, შ. ზონენაშვილი (ორივენი — ქუთაისი), რ. ისმაილოვი, ე. იბრაჰიმოვი, ვ. მუსესიანი (ყველანი — ბაქო).

**ი. ხაბეიშვილი.**

# ძალოსანთა ...

ტოკიოს ოლიმპიადის წელს ძალოსნობამ მსოფლიოში გიგანტური ნაბიჯი გადადგა წინ. ყოველ წონით კატეგორიაში, გარდა საშუალოსი, გაუმჯობესდა მსოფლიოს რეკორდები სამჭიდში. განსაკუთრებული დაბეჯითებით უტევდნენ რეკორდებს დედამიწის უღონიერესი ადამიანები ი ვლასოვი და ლ. ჟაბოტინსკი. მათი მეგობრული მეტოქეობის წყალობით აბსოლუტური ჯამი 557,5 კილოგრამიდან 580-მდე „დამძიმდა". მორიგი წლის დღის წესრიგში დადგა 600 კილოგრამის საკითხი.

მაგრამ სახელგანთქმული მძიმეწონოსნები 1965 წელს ერთობ მშვიდობიან ცხოვრებას ეწეოდნენ. ვლასოვი საერთოდ არ გამოსულა ფიცარნაგზე, ხოლო ჟაბოტინსკი სსრ კავშირისა და მსოფლიოს ჩემპიონატებით დაკმაყოფილდა. ზაპოროჟიელი ძალოსანი უკონკურენტობამ ძალიან გულკეთილი გახადა: იგი მოკრძალებულ გამარჯვებებს დასჯერდა და ატაცში 1 რეკორდი გააუმჯობესა. ათლეტი არა თუ ვერ მიუახლოვდა 600 კილოგრამს, არამედ სამჭიდში მისი საუკეთესო შედეგი ოლიმპიურ მიღწევაზე 20 კილოგრამით ნაკლები აღმოჩნდა.

რეგრესი იგრძნობოდა სხვა წონით კატეგორიებშიც. მაგალითად, ქვემსუბუქ წონაში დაუცხრომელი იაპონელი ი. მიაკე თავის სარეკორდო ჯამს 12,5 კილოგრამით ვერ მიწვდა. სამჭიდში რეკორდებით ვერ გაგვახარეს მსუბუქი, საშუალო და ქვემძიმე წონის ძალოსნებმაც. როგორც ჩანს, ტოკიოს ტურნირისთვის მზადებამ და მასში მონაწილეობამ ძალიან დიდი ძალა, ენერგია და ჯანმრთელობაც კი შეიწირა. ზოგიერთი შესანიშნავი ძალოსანი აქამდე ვერ გამორკვეულა: განაგრძობს სულიერი და ფიზიკური ტრავმების მკურნალობას, რომლებიც ოლიმპიურ სეზონში მიიღო.

„საქმიანი აქტიურობის" დაცემა იმდენად აშკარა იყო, რომ ძალოსნობის მოყვარულებში სკეპტიციზმი და სასოწარკვეთილება გამოიწვია. 1964 წელს მსოფლიო რეკორდების ცხრილში 52 შესწორება იქნა შეტანილი. მაშინ განსაკუთრებით იყოჩაღეს სსრ კავშირის ათლეტებმა, რომლებმაც 35-ჯერ გააუმჯობესეს მსოფლიოს რეკორდები. შარშან კი მსოფლიოს 32 რეკორდი იქნა ფიქსირებული, მათგან საბჭოთა ძალოსნებს 21 ეკუთვნოდათ.

ერთი სიტყვით, ძალოსნებისთვის ოლიმპიადის შემდგომი წელი ძნელი გამოდგა. და მაინც მან ცოტა სიხარული როდი მოგვიტანა. ძალოსნური ფიცარნაგის პირველ გმირად მე დავასახელებდი უნგრელ ი. ფიოლდის. მომცრო ტანის ამ ტატაბანიელმა მეშახტემ შესაშური ვაჟკაცობა გამოამჟღავნა. ტოკიოში ფიოლდიმ 2,5 კილოგრამით გააუმჯობესა მსოფლიოს რეკორდი სამჭიდში, მაგრამ ამდენივეთი წააგო ა. ვახონინთან და იძულებული გახდა ვერცხლის მედლით დაკმაყოფილებულიყო. თითქოს და მას არავითარი შანსი არ ჰქონდა ვახონინისთვის ჩემპიონის წოდება ჩამოერთვა, მით უმეტეს, რომ ამაზე პრეტენზიას არანაკლები საფუძვლით აცხადებდა მსოფლიოს რეკორდსმენი ს. ისინოსეკი (იაპონია). მაგრამ ფიოლდი ბეჯითად ცდილობდა ოლიმპიურ ჩემპიონთან შეხვედრას. მარტში იგი მონაწილეობდა მოსკოვის პრიზზე გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში და გაიმარჯვა, მაგრამ ვახონინთან არა: ჩემპიონი არ გამოსულა ფიცარნაგზე. და, ბოლოს, ისინი ერთმანეთს ევროპის ჩემპიონატზე, სოფიაში შეხვდნენ. ფიოლდი შესანიშნავი იყო, მაგრამ საბჭოთა ათლეტი კვლავ უკეთესი აღმოჩნდა. ამის გამო უნგრელი შესაძლოა სასოწარკვეთილებას მისცემოდა, მაგრამ რკინის ფიოლდი სულით არ დაეცა და თეირანში პირველად ავიდა მსოფლიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. ათლეტი ამითაც არ დაკმაყოფილებულა. იგი დაბრუნდა შინ და რამდენიმე ხნის შემდეგ უნგრეთ-იაპონიის მატჩში გაიმარჯვა სამჭიდში ფანტასტიკური შედეგით — 365 კგ-ით. ეს იყო მამაცი უნგრ[...] მიერ ოლიმპიადის შემდგომ წელს [...] ფლიოს რეკორდის მესამე დალაშქ[...]

მეორე ათლეტი, ჩემი აზრით, [...] საბჭოთა ქვესაშუალო წონის ძალო[...] ვ. კურენცოვი. ტოკიოს ოლიმპი[...] ვერცხლის პრიზიორმა შარშან არც [...]თი შეჯიბრება არ წააგო. მან მოიგო [...]სკოვის პრიზი, გახდა მსოფლიოს [...] ევროპის ჩემპიონი, გაიმარჯვა სსრ [...]შირის პირად და გუნდურ პირველ[...]ში. ამას გარდა, კურენცოვმა მსოფ[...] რეკორდების ცხრილში ორი შესწო[...] შეიტანა: აკვრაში — 178 კგ და სა[...]დში — 450 კგ.

სენსაციური იყო 20 წლის პოლ[...]ლის ნ. ოზიმეკის (საშუალო წ[...] ტრიუმფი. მსოფლიოს ყველა ათლე[...]გან მან ყველაზე დიდ პროგრესს მ[...]წია. ტოკიოს ოლიმპიადის წელ[...] მსოფლიოს იუნიორთა რეკორდი [...]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეხმაურებით ვ. მდივნის წერილს „შედეგები, პრობლემები..."

# მიზეზები და პერსპექტივები

გ. კაჩალინი,
სსრ კავშირისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

ჩვენი წერილის დასასრულს რამდენიმე სიტყვით მსურს შევეხო ვ. მდივნის წერილს. მასში მოცემულია ყველაფერი — სსრ კავშირის ჩემპიონატში საქართველოს გუნდების გამოსვლათა ანალიზი, არადამაკმაყოფილებელი შედეგები, გამოთქმულია მრავალი კრიტიკული შენიშვნა და დასახულია პრობლემები, რომლებიც ძირითადად ეხება ტაქტიკას, თბილისის „დინამოში" მოთამაშეთა გამოყენების მიზანშეწონილობას და სხვ.

ამგვარი წერილის გამოქვეყნება რესპუბლიკურ პრესაში ხასარგებლო მოვლენაა. ავტორი თამამად სახავს საკითხებს, რომლებსაც უაღრესად აქტუალური მნიშვნელობა აქვთ ქართული ფეხბურთისთვის და მის ცალკეულ დებულებებს არ შეიძლება არ დავეთანხმოთ.

მაგრამ სტატიაში საკმაოდაა უსწოროდ გადაჭრილი საკითხებიც, რომლებსაც, ჩვენი აზრით, შეუძლია არა მარტო გაუგებრობა გამოიწვიოს, არამედ არასწორი გზაც მიუთითოს ქართულ ფეხბურთს. ამასთან, წერილში არის წინააღმდეგობებიც.

ავტორი ამბობს, რომ თამაშების კალენდრის სიმახინჯეს უარყოფითი გავლენა ჰქონდა ჩემპიონატში საქართველოს გუნდების გამოსვლაზე. ეს სწორია, მაგრამ როცა მოყვანილია ფაქტი ქუთაისის „ტორპედოს" მიერ გასვლაზე 7 მატჩის წაგებისა, აქ მიზეზი უნდა ვეძიოთ არა მარტო კალენდარში, არამედ (და უმთავრესად) რიგ მოთამაშეთა მიერ სპორტული რეჟიმის დარღვევაში.

ვ. მდივანი ჩივის კალენდრის არიტმულობაზე და აქვე, ერთი აბზაცის შემდეგ, ფეხბურთის საკავშირო ფედერაციას წინადადებას აძლევს გაანთავისუფლოს ჩემპიონატის მატჩებიდან გუნდები, თუ მათი მოთამაშეები დაკავებული არიან ნაკრებში გამოსვლით. ეს ხომ იგივე „ფანჯარაა" კალენდარში და იგივე არიტმია. სადღაა ლოგიკა?

„შემჩნეულია, რომ საქართველოს გუნდები ვარჯიშობდნენ არასაკმარისი დატვირთვით, არაკვალიფიციურად. ასეთი შთაბეჭდილება რჩება მათი თამაშისა და შედეგებისგან". მაგრამ ხომ არ შეიძლება ასე „თვალის ერთი შეხედვით", მხოლოდ შთაბეჭდილებით იმსჯელო ვარჯიშის ხარისხსა და მწვრთნელთა კვალიფიკაციაზე. საინტერესოა, რამდენჯერ დაესწრო ვ. მდივანი თბილისის „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოს" საწვრთნელ ვარჯიშებს?

და გუნდების მიერ ჩემპიონატის თვითეული მერვედი ეტაპის მიხედვით ქულების დაგროვების მონაცემებიც, საიდანაც ჩანს, რომ გუნდების მოძრაობას ცხრილში სპაზმისებური ხასიათი ჰქონდა (ამ ავადმყოფობას ავტორი უწოდებს „საწვრთნელ დატვირთვათა არასაკმარისობას"), არ შეიძლება გამოდგეს საწვრთნელი პროცესის უსწორო მიმართულების დამამტკიცებელ საბუთად. ამ მონაცემების ანალიზს უნდა დაემატოს გუნდების შემადგენლობაში ყოველ მერვედ ეტაპზე თამაშების კალენდარი, მათი სიხშირე, მოწინააღმდეგეები და ა. შ.

იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ მოთამაშეთა სპორტულ ფორმაზე, გამძლეობის ხარისხზე, პირველ ყოვლისა, საჭიროა ანალიზი გაუკეთდეს სამედიცინო შემოწმების მონაცემებს, ვინაიდან ამ დროს თვით მწვრთნელის გამოცდილი თვალიც კი შეიძლება შეცდეს. ეს მონაცემები კი მეტყველებენ, რომ თბილისის „დინამოს" ყველა მოთამაშე სეზონის შუაგულში იმყოფებოდა სპორტულ ფორმაში.

ან როგორ შეიძლება ვილაპარაკოთ დატვირთვათა უკმარობაზე ქუთაისის „ტორპედოში", როცა მისი მოთამაშეები მაღალ ტემპში, კარგ მოძრაობაში და კომბინაციური თამაშით უგებდნენ საკუთარ მინდორზე ჩვენი ქვეყნის წამყვან გუნდებს?!

მრავალი ჩავარდნა ცალკეულ თამაშებში და ზოგიერთი მატჩის დასასრულს, აიხსნება ერთეულ მოთამაშეთა და მთელი გუნდის ფსიქოლოგიური მდგომარეობით და ხშირად შემთხვევითობითაც კი.

ავტორი მოგვიწოდებს მკვეთრად ავამაღლოთ საწვრთნელი დატვირთვები, მეცადინეობათა მოცულობა და ხანგრძლივობა. მაგრამ ცნობილია კი მისთვის, რომ ჩვენს ქვეყანაში მიღებული წვრთნის ძირითადი პრინციპია თანმიმდევრობა? ვარჯიშთა მოცულობის, მეცადინეობათა ხანგრძლიობისა და საწვრთნელ დატვირთვათა ასეთი მკვეთრი ამაღლება დაარღვევდა ჩვეულ საწვრთნელ რეჟიმს და მოგვცემდა უარყოფით შედეგს საერთო მზადებაში. ერთი მიზეზი, „ა" კლასის რომელ გუნდში მისდიეს ბოლომდე ამ მითითებას, ვინ გამოიყენა ფედერაციის ექსპერიმენტი პრაქტიკაში? შეიძლება, მოსკოვის „ტორპედომ" და კიევის „დინამომ"? საჭირო იყო ყველაფრის გათვალისწინება, ყველაფრის მომზადება წვრთნის ახალ რეჟიმზე ამ მკვეთრი გადასვლისთვის. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ფსიქოლოგიურად განეწყონ ასეთი დატვირთვებისათვის ფეხბურთელები, მომზადდეს ბაზები, შეიქმნას შესაბამისი პირობები და ა. შ. პრაქტიკამ უარყო ასეთი ექსპერიმენტი. მაგრამ ჩვენ არა ვართ წინააღმდეგი იმისა, რომ თანდათან გავზარდოთ ვარჯიშთა მოცულობაც, მეცადინეობათა ხანგრძლიობაც და საწვრთნელი დატვირთვებიც, ურომლისოდაც შეუძლებელია წინსვლაზე ფიქრი. მეტი წვრთნაა საჭირო — ეს მართალია!

ასევე სწორად მიუთითებს ავტორი, რომ ამ საკითხს კოლექტივი უნდა მიუდგეს შემოქმედებითად და არა მექანიკურად. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ იმასაც, რომ საჭირო შრომისმოყვარეობა ზოგიერთ ჩვენს მოთამაშეს არ გააჩნია. სწორია ისიც, რომ ჩვენ, მწვრთნელები, მთლიანად ვერ ვიყენებთ ფორმებს, მეთოდებს, საშუალებებს ფეხბურთელთა ოსტატობისა და გუნდების კლასის ამაღლებისთვის. კერძოდ, გამოთქმულია საყვედური ჩვენს მიმართ, რომ არ მივმართავთ ინდივიდუალური მუშაობის ფორმებს ფეხბურთელებთან.

ეს საკითხი აქტუალურია და სათანადო გადაჭრაც უნდა ჰპოვოს საწვრთნელ პროცესში. მოთამაშეები უნდა მივაჩვიოთ ივარჯიშონ შემოქმედებითად, შეგნებულად მიუდგნენ თავიანთ წვრთნას. ამაშია ფეხბურთელთა ოსტატობის ზრდისა და თამაშის კლასის საერთო ამაღლების საფუძველი.

ტაქტიკის საკითხები ყველაზე სადავოა ფეხბურთში. პირადად მე დარწმუნებული არა ვარ, რომ ავტორის მიერ ამ მიმართებით გამოთქმული მოსაზრებანი ყოველთვის სწორი და უშეცდომოა ქართველ ფეხბურთელთათვის.

ვ. მდივანი გვეუბნება: „თბილისის „დინამოში" ბოლომდე მაინც ვერ გადაჭრეს მ. მესხის პრობლემა". ასეთი პრობლემა კოლექტივში მწვრთნელებს არა აქვთ. ეს თვით მ. მესხის პრობლემაა.

მესხი თვითმყოფადი ტალანტია. იგი უმაღლესი კლასის ფეხბურთელია, რომელმაც საერთაშორისო აღიარება ჰპოვა და ჩვენს ფეხბურთს სახელი გაუთქვა მსოფლიოს მრავალ სტადიონზე. მესხი ახლო ბრძოლის მოთამაშეა, რომელსაც უყვარს უშუალო შეტაკება მეტოქესთან, თავისებური დუელი. ორთაბრძოლაში იგი ძლიერია და უმთავრესად თავის სასარგებლოდ ამთავრებს შეტაკებებს (განსაკუთრებით, თუ მოწინააღმდეგე ნაკლებად იცნობს მას).

მაგრამ მესხის ტაქტიკა, თამაშის საერთო მანერა კარგად შეისწავლეს მეტოქეებმა. ამ ტაქტიკაში აღარაფერია მოულოდნელი, ანაზდეული და, თუ გნებავთ, ეშმაკურიც. ახლა იგი ყველასთვის ცნობილი იარაღით მიდის ბრძოლაში. აქედან გამომდინარე, უფრო იოლია მისთვის წინააღმდეგობის გაწევა. ე. ი. საჭიროა ტაქტიკის შეცვლა და ამიტომ დიდი ფანტაზიაც აღარაა საჭირო, როცა ავტორი წინადადებას აძლევს მესხს გადაიტანოს მანევრები ცენტრში. ეს სადღეისო მოთხოვნაა თბილისელთა მარცხენა გარემარბისთვის და ამ ნოთხოვნებს ჩვენ სისტემატურად ვუყენებდით მას გუნდში. ასეთი ადგილმონაცვლეობა ცენტრში და სხვა ადგილებზეც გააფართოებდა მესხის კონტაქტს პარტნიორებთან, მკვეთრად აამაღლებდა მის შესაძლებლობებს და მეტ შედეგსაც მოგვცემდა.

შ. იამანიძის პრობლემა (ისევ პრობლემა). აქაც არავითარი პრობლემა არ არსებობს. ნიჭიერი ფეხბურთელი მთელი თავისი ცხოვრება ოცნებობდა (ამას კი ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს) ეთამაშა თავდასხმის ხაზში და 1965 წელს ამ ოცნებას ფრთები შეესხა. მართალია, ჯერ მორიდებულად, შემდეგ თანდათან სულ უფრო თამამად, ხოლო სეზონის ბოლოს კი — მთელი ძალით. მისი თამაში უფრო კოლორიტული და შედეგიანი გახდა. მაგრამ თუ იამანიძე ყურს დაუგდებს ავტორის რჩევას და შეტევებს დაიწყებს სიღრმიდან, ბევრ ძალას დახარჯავს ამ რეიდებზე და მისი თამაშიც უფერული გახდება. მაშინ დაიწყებენ ლაპარაკს: „ეს ხომ უკვე გამოვცადეთ, თუ რა არის იამანიძე ნახევარმცველი". ჩვენი აზრით, იამანიძის „პრობლემა" წარმატებითაა გადაჭრილი როგორც თვით ამ ფეხბურთელის, ისე კოლექტივის მიმართაც. ნახევარმცველის განთავისუფლებული ადგილი დაიკავა ახალგაზრდობამ (ილიადი, ხართიშვილი), რომლებიც შეიძლება ერთხანს კიდევ „ჩაბერებულიყვნენ" დუბლში.

და აი, გ. სიჭინავას პრობლემაც. ჩვენი აზრით, მისი გამოყენება გუნდში და წამოყენებული მოთხოვნები სწორია და არავითარი შაბლონი მის მიმართ არ გამოგვიყენებია. ჩვენ ვაღიარებთ ტალანტებს, მაგრამ ისეთ კოლექტიურ თამაშში, როგორიც ფეხბურთია, ტალანტები უნდა მოქმედებდნენ კოლექტივის ინტერესებში, დაემორჩილონ სათამაშო დისციპლინის მოთხოვნებს და ჰქონდეთ ზომიერების გრძნობა. ვფიქრობთ, საჭიროებას არ წარმოადგენს გ. სიჭინავას გამართლება, როცა იგი ზედმეტად აჩერებს ბურთს თითქოს იმიტომ, რომ არავინ იხსნება გადაცემის მისაღებად. ფეხბურთში არ არსებობს ისეთი მდგომარეობა, როცა მოთამაშეს თავის გარშემო ჰყავს პარტნიორები და ბურთის მიმღები კი არა ჩანს. არც ისაა სწორი, რომ „ინდივიდუალური აგრესია თამაშის გაგრძელების ერთადერთ საშუალებად რჩება"...

უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი წამოჭრა ავტორმა, როცა ლაპარაკობს ქართველ მწვრთნელთა კადრებზე, მაგრამ მიკვირს, როცა იგი ამბობს: „ამჟამად ჩვენ ახლა არა გვყავს ადგილობრივი მწვრთნელები, რომლებსაც შეუძლიათ ყოველმხრივი ხელმძღვანელობა გაუწიონ რესპუბლიკის წამყვან გუნდს — თბილისის „დინამოს".

თბილისის „დინამოს" არაერთხელ დაუკავებია II-III ადგილები საკავშირო ჩემპიონატებში, გასულა სსრ კავშირის თასის ფინალში და განა მუდამ მოწვეული სპეციალისტი წვრთნიდა გუნდს? ახლაც არიან ქართველი მწვრთნელები, რომლებსაც ძალუძთ ხელმძღვანელობა გაუწიონ კოლექტივს.

ვტოვებ რა მშვენიერ საქართველოს და ჩემთვის უკვე მშობლიურ თბილისის დინამოელთა კოლექტივს, გუნდის ხელმძღვანელობას ვუტოვებ მწვრთნელ ა. კოტრიკაძეს.

ეს ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი (ამაშია მისი ძალა!), მაგრამ უკვე გამოცდილი მწვრთნელი, რამდენიმე წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა „დინამოს" დუბლიორთა შემადგენლობას. ღრმად ერუდირებული, ენერგიული, პატიოსანი, მართებული, ობიექტური, თავის პროფესიაში ჩახედული მწვრთნელი საჭირო მხარდაჭერის შემთხვევაში როგორც გუნდის, ისე რესპუბლიკის სპორტულ ორგანიზაციათა მხრივ, წარმატებით გაართმევს თავს თავის რთულ და ძნელ მოვალეობებს.

სეზონი ჯერ არ დაწყებულა და ახალი მწვრთნელის წინაშე უკვე წარმოიშვა პრობლემები: საჭირო იქნება ნაკრების წევრთა შეცვლა შესაფერისი ძალებით, დაუმატეთ ამას ისიც, რომ დათუნაშვილი წვრთნას შეუდგება მხოლოდ თებერვლის მიწურულში. ამ ვითარებაში კოლექტივის დაკომპლექტება არც ისე იოლი იქნება.

საჭიროა გუნდს დავუბრუნოთ დამაჯერებლობა, სიმშვიდე, რწმენა საკუთარ ძალებში, ავამაღლოთ მოთამაშეთა შრომისმოყვარეობა, განვამტკიცოთ სათამაშო დისციპლინა, გავშალოთ გუნდში კრიტიკა და თვითკრიტიკა, გავაუმჯობესოთ თამაშის შინაარსი, შედეგები, ვიბრძოლოთ დაკარგული პოზიციების აღსადგენად. ყველაფერი ეს მძიმე ტვირთად აწვება გუნდის ახალ ხელმძღვანელობას.

მე მუდამ ვიყავი და ვარ მომხრე იმისა, რომ ქართულ გუნდებს წვრთნიდნენ ქართველი სპეციალისტები. ეროვნული ფეხბურთის ტრადიციების ცოდნა, ენის ერთობლიობა და ათასგვარი წვრილმანის ღრმა გაგება ადგილობრივ მწვრთნელს საშუალებას მისცემს კიდევ უფრო უკეთესად გადაჭრას უმაღლესი კლასის ფეხბურთელთა აღზრდის საქმე და გუნდი მუდამ ამყოფოს მოწინავე პოზიციებზე.

სულით და გულით ვუსურვებ ჩემს კოლეგებს წარმატებებს მათს შემოქმედებით საქმიანობაში, ხოლო ქართველ ფეხბურთის მოყვარულებს — იყვნენ მომთხოვნი, მაგრამ სამართლიანნი თავიანთი გუნდებისა და მათი მწვრთნელების მიმართ.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო" № 15, 16.



## საიმედო გოგონა

ჩვენი ქალთა ტანვარჯიშის მომავალი ცვლიდან რამდენიმე სხვა გოგონასთან ერთად ყურადღებას იქცევს ნორჩი მ. ჩაჩხიანი. იგი გაბედულია, ბეჯითად ეუფლება ამ სახეობის ტექნიკას და ამიტომ, მოსალოდნელია, ღირსეულადაც მიჰყვეს თანამედროვე ტანვარჯიშის გაზრდილ მოთხოვნებს. მ. ჩაჩხიანმა თბილისში ახლახან გამართულ „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდურ ასპარეზობაში ვაჟთა სპორტსკოლებს შორის ოსტატთა პროგრამით II ადგილი დაიკავა.

• • •

სურათზე: მ. ჩაჩხიანი დვირზე ვარჯიშისას.

ფოტო ვ. სტოლიაროვისა.

[illegible]

### ჩოხატაური

ადგილობრივი 1-ლი საშუალო სკოლის სპორტმოედანზე გაიმართა მოსწავლეთა რაიონული პირველობის გათამაშება კალათბურთში. ასპარეზობაში მონაწილეობდა აგრეთვე გორაბერეჟოულის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ჭაბუკთა გუნდი. ჩემპიონატი დაუმარცხებლად განვლო 1-ლი საშუალო სკოლის I ნაკრებმა. II ადგილზე გავიდნენ გორაბერეჟოულელები, ხოლო მესამეზე — 1-ლი საშუალო სკოლის II ნაკრების ბიჭები.

დ. ბურბენიძე.

# ნელი წელი

მიმოხილვა

ყარა — 422,5 კგ. თეირანში კი იგი 472,5 კილოგრამით მსოფლიოს ჩემპიონი გახდა მოზრდილთა შორის. პროგრესი 50 კილოგრამით! რაღაც არ მახსოვს მსგავსი რამ ძალოსნობაში. ამასთან, ოზიმეკმა ატაცში 148 კგ აჩვენა და მსოფლიოს რეკორდების ცხრილში თავისი სახელიც შეიტანა. ვფიქრობ, ჭაბუკ პოლონელს შესანიშნავი მომავალი აქვს, მაგრამ, მგონია, ქვემძიმე წონაში.

მსოფლიოს რეკორდებითა და გამარჯვებებით აღნიშნეს შარშანდელი წელი ლ. ჟაბოტინსკიმ და ი. მიაკემ, ვ. ბაჟანოვსკიმ და ლ. მარტინმა. ამათგან რომელიმესთვის უპირატესობის მინიჭება ძნელი საქმეა. ღირს კი? მაგრამ არ შეიძლება აღტაცება არ გამოთქვა მარტინით. ამ „შავმა აპოლონმა" შეძლო მეტოქეობა გაეწია ოლიმპიური ჩემპიონისთვის — ვ. გოლოვანოვისთვის. მარტინი მეოთხედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი და ქვემძიმე წონის ძალოსანთათვის ყველაზე მძიმე შტანგა ასწია — 190,5 კგ.

საბჭოთა ძალოსანთაგან ჟაბოტინსკისა და კურენცოვის გარდა სარეკორდო ხარბიელზე ღრმა კვალი დასტოვეს ა. ვახონინმა (მჩატე წონა), ქვემსუბუქი წონის ძალოსნებმა ვ. კაპლუნოვმა და ვ. კაცურამ, ქვესაშუალო წონის სპორტსმენებმა ვ. კოზლოვმა და ვ. ბელიაევმა, ქვემძიმე წონის ათლეტებმა ვ. გოლოვანოვმა და ა. კალინიჩენკომ. მსოფლიოს რეკორდსმენთა სიაში „დროებითი გაწერა" მიიღეს მჩატე წონის ათლეტმა პ. კიმმა და მსუბუქი წონის ძალოსანმა ს. ლოპატინმა.

შარშანდელი წელი იაპონელებმა მსოფლიოს 5 რეკორდით აღნიშნეს. 2-2 უმაღლესი მიღწევა ეკუთვნით ხ. ისინოსეკისა და მ. ოუჩის. ორივე მსოფლიოს პოტენციური ჩემპიონები არიან: ერთი — მჩატე წონაში, მეორე — ქვესაშუალოში. იაპონელი ძალოსნები, ისევე როგორც უნგრელები, ახლა მსოფლიოს 5 რეკორდს ფლობენ.

საბჭოთა ათლეტების აქტივშია 12 უმაღლესი მიღწევა. მსოფლიოს 3 რეკორდი ეკუთვნით პოლონელებს, თითოთითო კი — ინგლისის, პუერტო-რიკოსა და აშშ-ის ათლეტებს.

ასეთია წლის სარეკორდო ბალანსი. საბჭოთა ძალოსანთათვის, იგი არც თუ ისე ცუდია, თუნდაც მარტო იმიტომ, რომ მოხერხდა ძველი პოზიციების შენარჩუნება (ოლიმპიურ წელსაც ხომ 12 რეკორდი იქნა დამყარებული). მაგრამ დიდი ხანია ცნობილია, რომ რეკორდები ძალოსნობაში წარმატების მთავარი საზომი როდია. ჯერ ერთი, რეკორდები სხვადასხვანაირია. მაგალითად, უმაღლესი მიღწევა აჭიმვაში არ შეიძლება გავუთანასწოროთ რეკორდს სამჭიდში, მეორეც, — რეკორდები შეიძლება დაამყარო ამაყ განმარტოებაშიც, ასე ვთქვათ, განწყობილებით, გაცილებით ძნელია ძალა გამოამჟღავნო მძაფრ კონკურენციაში მსოფლიოსა თუ ოლიმპიურ ფიცარნაგზე.

სამწუხაროდ, 1965 წელმა არ მოუტანა საბჭოთა ათლეტებს ჩემპიონთა წოდებები. სსრ კავშირის ნაკრები უკანასკნელი 12 წლის მანძილზე პირველად ვერ ჩამოვიდა მსოფლიოს ჩემპიონატიდან გამარჯვებული. მსოფლიოს ჩემპიონატთა ათგზის ფავორიტებმა პირველობა პოლონელებს დაუთმეს. ეს დამარცხება, რომელიც სოფიაში ევროპის ჩემპიონატს მოჰყვა, არც თუ ისე შემთხვევითია, როგორც ერთი შეხედვით მოგეჩვენებათ. სოფიასა და თეირანში ჩვენს ძალოსნებს შეეძლოთ გაემარჯვათ ძალთა სწორი განაწილებისა და მარჯვე ტაქტიკის მეოხებით. მაგრამ ჭაბუკთა ძალოსნობის განვითარებისადმი არასაკმაო ყურადღების გამო იმ მდგომარეობამდე მივედით, რომ საბჭოთა გუნდი პოლონელებზე უფროსი გამოდგა 14 წლით, ხოლო იაპონიისაზე — 40 წლით (!).

ახლა სსრ კავშირის ძალოსნობის ფედერაცია ამუშავებს ჭაბუკთა ძალოსნობის აღმავლობის გენერალურ გეგმას. დაგვჭირდება 3-4 წელიწადი, რომ საბჭოთა იუნიორებმა ღირსეულად იბრძოლონ დიდ ფიცარნაგზე. მსოფლიოსა და ევროპის მორიგ ჩემპიონატებში კი პირველობის გვირგვინის დაბრუნება გუნდის ვეტერანებს მოუწევთ. წვრთნისადმი უფრო სერიოზული დამოკიდებულების შედეგად ეს მათ ჯერჯერობით ძალუძთ გააკეთონ.

შარშანდელი წელი ძნელი იყო. არც წლევანდელი იქნება იოლი. შტანგა სულ უფრო მძიმდება.

დ. ივანოვი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

# ჩემპიონის შედევრი

მიმდინარე წლის გაზაფხულზე მსოფლიოს ჩემპიონს ტ. პეტროსიანს დიდი გამოცდა ელის: მას პირველად მოუხდება ტიტულის დაცვა. სამმა წელმა, რომლებიც პეტროსიანმა დიდოსტატური ოლიმპის მწვერვალზე გაატარა, მას მთელი საჭადრაკო სამყაროს სიმპათიები მოუპოვა.

ტიგრან პეტროსიანი ამჟამად ტურნირებში გაცილებით ნაკლებს თამაშობს, ვიდრე უწინ. მაგრამ მისი გამოსვლა უმაღლეს შეფასებას იმსახურებს. — სამართლიანად ამბობს დიდოსტატი დ. ბრონშტეინი. — მსოფლიოს ახალი ჩემპიონი სულაც არ ფიქრობს თავისი შემოქმედებით შეხედულებათა სისწორე მხოლოდ ციფრობრივი შედეგებით დაამტკიცოს — მისი ძიებებისა და აღმოჩენათა სტილი სრულიად სხვანაირია. იგი სასოწარკვეთას არ ეძლევა, თუ პირველ პრიზს ვერ აიღებს, მაგრამ, სამაგიეროდ, მისი ყოველი პარტია, ყოველი სვლა შეფერილია მკაფიო პეტროსიანისებური ხელწერით".

დიახ. პეტროსიანის თამაშის სტილი განუმეორებელია. იგი ჩინებული პოზიციური ალღოთია დაჯილდოებული და ბევრ თანამედროვე დიდოსტატზე უფრო შორს ხედავს: ტყუილად კი არ უწოდებენ მას ჭადრაკის ჯადოქარს. ჩემპიონს არ აცდუნებს გარეგნულად ეფექტური. მაგრამ სარისკო კომბინაციები — ჭეშმარიტება უფრო ძვირად ღირს. მისი დახვეწილი სტრატეგიული ჩანაფიქრები, პირველ ყოვლისა, იმით სტოვებს დაუვიწყარ შთაბეჭდილებას, რომ ისინი პოზიციის საიდუმლოებების ღრმა გაშიფვრეტაზეა დაფუძნებული.

საჭადრაკო გამოსვლათა 20 წლის მანძილზე ტ. პეტროსიანმა არა ერთი ასეული სატურნირო და სამატჩო პარტია ითამაშა. ბევრი მათგანი სპეციალური პრიზებით აღინიშნა სილამაზისათვის. როცა მცირე ხნის წინ მექსიკური ჟურნალის „სიემპრეს" რედაქციამ მთხოვა, მსოფლიოს ჩემპიონისაგან ინტერვიუ ამეღო, მე მას თანაც ვკითხე, რომელი თავისი პარტია მიაჩნია საუკეთესოდ.

— თუ ის პარტიები გვექნება მხედველობაში, რომლებიც ბოლო წლებში ვითამაშე, — მიპასუხა ტ. პეტროსიანმა, — შეიძლება დავასახელოთ V პარტია ბოტვინიკთან მატჩში. სადებიუტო გაცვლების სერია, რომლებიც შავებმა გრიუნფელდის დაცვისას განახორციელეს, ერთი შეხედვით, მათ სწრაფ ყაიმს უქადდა. და მაინც, ძნელ ენდშპილში მეშევძელი ლაზიერის ფრთაზე შავების საპაიკო ჯაჭვის შესუსტება და გამარჯვება მოვიპოვე. ამ პარტიამ არა თუ გამათანაბრებინა ანგარიში, არამედ ღამეხმარა საკუთარი სამატჩო ტაქტიკის ქმედითობა მერწმუნა.

ესოდენ სასიამოვნო მოგონების მიუხედავად უნდა დავსძინო, — განაგრძო მსოფლიოს ჩემპიონმა, — რომ პარტია, რომელიც მ. ტაიმანოვს თეთრებით მოვუგე სსრ კავშირის XXII ჩემპიონატის ფინალში, მაინც უფრო მეტად მომწონს. არასდროს დამავიწყდება ის შემოქმედებითი სიხარული, რომელიც მომანიჭა ეტლით მრავალსვლიანმა მანევრმა და რომელმაც პარტიის ბედი გადაწყვიტა. ალბათ, ასეთ გრძნობას განიცდის მხატვარი, როცა ნათლად ხედავს, რომ სურათში ჩანაფიქრის ხორცშესხმა შეძლო.

აი, ეს პარტია, რომელიც ტ. პეტროსიანმა 1955 წელს ითამაშა.

### სლავური დაცვა
### პეტროსიანი — ტაიმანოვი
სსრ კავშირის XXII ჩემპიონატი

1. d2—d4 მg8—f6 2. c2—c4 e7—e6 3. მg1—f3 d7—d5 4. მb1—c3 c7—c6 5. e2—e3 მb8—d7 6. კf1—d3 კf8—b4 7. 0—0 0—0 8. ლd1—c2 კb4—d6.

კუს უკანდახევა თეთრებს საშუალებას აძლევს მნიშვნელოვანი პოზიციური უპირატესობა მიიღონ: ახლა შავები ვერ ასწრებენ ბრძოლაში ლაზიერის ფლანგის ფიგურების შეყვანას.

9. b2—b3 d5:c4 10. b3:c4 e6—e5 11. კc1—b2 ეf8—e8 12. მc3—e4 მf6:e4 13. კd3:e4 h7—h6.

როქის პოზიციის იძულებითი დასუსტება თეთრებს მძლავრი შეტევის საშუალებას აძლევს.

14. ეa1—d1 e5:d4 15. კe4—h7+! მფg8—h8 16. ეd1:d4 კd6—c5 17. ეd4—f4 ლd8—e7 18. ეf4—e4! ლe7—f8 19. ეe4—h4 f7—f6 20. კh7—g6 ეe8—e7 21. ეh4—h5! კc5—d6 22. ეf1—d1 კd6—e5 23. კb2—a3 c6—c5 24. მf3—h4 დანებდა.



### ტ. პეტროსიანი თავისი საუკეთესო პარტიის შესახებ

საფინალო პოზიცია ერთობ ეფექტურია: შავები დანებდნენ, როცა დაფაზე თითქმის ყველა ფიგურაა დარჩენილი. ცუგცვანგის ესოდენ ლამაზი შემთხვევა (გამანადგურებელი მუქარისაგან 25. კe4 და 26. მg6+ შავები თავს ვერ იცავენ) დიდოსტატთა პარტიებში ერთობ იშვიათად გვხვდება: გასაკვირიც არ არის, რომ მსოფლიოს ჩემპიონს სწორედ ეს პარტია მოსწონს განსაკუთრებით.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ XXII ჩემპიონატში, სადაც პეტროსიანმა თავისი საუკეთესო პარტია ითამაშა, საკავშირო საჭადრაკო ასპარეზზე პირველად გამოვიდა ბ. სპასკი. მათ შორის შეხვედრა, რომელიც V ტურში გაიმართა, უკიდურესად მწვავე ბრძოლით გამოირჩეოდა. პეტროსიანი (შავებით) სიცილიურ დაცვაში რისკით თამაშობდა მოგებაზე და ახალგაზრდა მეტოქეს საშუალება მისცა შეექმნა მრისხანე შეტევა მეფის ფრთაზე. მაგრამ ცაიტნოტში დებიუტანტმა ვერ შეძლო მდგომარეობის გამარჯვებამდე მიყვანა.

როცა იმ საღამოს სპასკი და პეტროსიანი ჭადრაკის დაფას მიუსხდნენ, ისინი, რა თქმა უნდა, არ ფიქრობდნენ, რომ 11 წლის შემდეგ მსოფლიოს პირველობაზე მატჩში შეხვედრა მოელოდათ.

ი. კარუაშვილი.

## ინტერვიუ პრაღიდან

*ბრატისლაველი ცენტრალური მცველი იან პოპლუჰარი, სპორტულ ჟურნალისტთა აზრით, 1965 წლის საუკეთესო ფეხბურთელია ჩეხოსლოვაკიაში. იგი 30 წლისაა. საზღვარგარეთელი ინპრესარიოები მუდამ მზად არიან ხალისით გადაუხადონ თანხა ბრატისლავის „სლოვანს" მატჩისთვის იმ პირობით, თუ აუცილებლად ითამაშებს პოპლუჰარი.*

**● როგორი იყო თქვენი გზა საფეხბურთო დიდებისკენ?**

— ძნელი. თამაში დავიწყე ბრატისლავაში, როცა 19 წლისა ვიყავი. და უნდა ვაღიარო, რომ იმ ხანად ერთობ მოუხერხებელი და მოუქნელი გახლდით.

თავდაპირველად სათადარიგო მოთამაშედ ვირიცხებოდი. და პირველივე ასპარეზობის შემდეგ „სლოვანის" მწვრთნელები ერთხმად მივიდნენ დასკვნამდე: „ამ დათვისგან არაფერ ხეირს არ უნდა ველოდეთ. მარტო თავისი ტანით თუ შეაშინებს თავდამსხმელებს".

**● დღეს კი თქვენ ნაკრების კაპიტანი ხართ. რამდენჯერ გითამაშიათ ნაკრებში?**

— ჩეხოსლოვაკიის ნაკრების შემადგენლობაში 50 მატჩი ვითამაშე. პირველად 1958 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, გფრ-ის ნაკრებთან შეხვედრაში გამოვედი. იმჯერადაც ითამაშა როლი ციფრმა 19. საქმე ის არის, რომ შვეციაში მე-19 სათადარიგო მოთამაშედ გავემგზავრე. და იმის მეოხებით, რომ ნაკრების ნომინანტურმა მოთამაშემ ტრავმა მიიღო, მე თამაშში მონაწილეობის მიღება მომიხდა. მღელვარებისგან ფეხები მიკანკალებდა. მაგრამ მას შემდეგ თანდათანობით გამოვიქეცი.

**● რომელი მატჩიდან დაგრჩათ ყველაზე უფრო სასიამოვნო მოგონებები?**

— ჩილეში 1962 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ყველა შეხვედრიდან. დაუვიწყარი მოგონებები დამრჩა ლონდონის 1963 წლის მატჩიდან. როცა მე ფიფა-ს ნაკრები გუნდის შემადგენლობაში ვითამაშე ინგლისის ნაკრების წინააღმდეგ.

**● როგორ აფასებთ, როგორც კაპიტანი, ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს?**



# 7 წელი ფორმაში

— გუნდის ბირთვი კარგია. პროგრესს იმაში ვხედავ, რომ ახლა უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ მოთამაშეთა ნიჭიერებას, ვიდრე მათი გვარების ჟღერადობას.

**● რომელ ჩეხოსლოვაკიელ და საზღვარგარეთელ მოთამაშეებს აფასებთ ყველაზე მეტად?**

— ჩვენი მოთამაშეებიდან პლუსკალსა და მასოპუსტს, ხოლო საზღვარგარეთელებიდან — სტენლი მეტიუზს.

(„პრაგოპრესი").

• • •

სურათზე: იან პოპლუჰარი წვრთნის დროს.

ფოტო „სპორტოვეცისა" (პოლონეთი).

## როდის და სად ჩატარდება მსოფლიოს ჩემპიონატები?

ფიფა-მ კარგა ხანია დაამტკიცა მექსიკის კანდიდატურა ფეხბურთში მსოფლიოს IX ჩემპიონატის ორგანიზატორობაზე 1970 წელს. X ჩემპიონატის ჩატარების კანდიდატია არგენტინა (1974 წ.), XI ჩემპიონატისა — ესპანეთი (1978 წ.), XII ჩემპიონატისა — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა (1982 წ.).

ეს კანდიდატურები უნდა დაამტკიცოს ფიფა-ს მორიგმა კონგრესმა, რომელიც 8-9 ივლისს გაიმართება ლონდონში. მანვე უნდა განიხილოს პროექტი მსოფლიოს ჩემპიონატების ყოველ სამ წელიწადში ერთხელ გამართვის თაობაზე.

●

## ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე

ზაგრებსა და პრაღაში გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მატჩები ფრენბურთელ ვაჟთა შორის. ზაგრებში ადგილობრივმა „მლადოსტმა" დაამარცხა სტამბოლის „გალათასარაი" — 3:1 (15:8, 15:6, 15:17, 15:5). პრაღაში ადგილობრივ „დუკლასა" და ვენის „ბლაუგელბის" მატჩიც ასევე მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა — 3:0 (15:0, 15:1, 15:4).



▲ ქაირო, 26 იანვარი. არაბეთის გაერთიანებულ რესპუბლიკაში სტუმრად იმყოფებიან ოდესის „ჩერნომორეცის" ფეხბურთელები. პირველ მატჩში მათ მოუგეს 2 კლუბის ნაკრებს — 2:1.

▲ **მადრიდი.** აქ გაიმართა ხელბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. პრაღის „დუკლამ" ყველა შეხვედრა მოიგო და I ადგილი მოიპოვა. პრაღელებმა ჯერ გფრ-ის „ფრაიბურგი" დაამარცხეს (30:14), შემდეგ — პორტუგალიის „ოპორტო" (27:15) და, ბოლოს, ადგილობრივი „ატლეტიკო" (26:12).

▲ დანიდინი (ახალი ზელანდია). აქ დიდი ინტერესი გამოიწვია ავსტრალიელი პ. კილბორნისა და საბჭოთა მძლეოსნის ი. პრესის გამოსვლამ 100 იარდზე რბენაში. საუცხოო შედეგით (10,5) გაიმარჯვა კილბორნმა. II იყო 16 წლის ახალზელანდიელი მოსწავლე ბ. მეტიუსი — 10,6. ასეთივე დრო აჩვენა პრესმა.

## ვიდინიჩი — ხელოვანი და ფეხბურთელი

ცნობილ იუგოსლაველ მეკარე ვიდინიჩს კარგად იცნობენ ფეხბურთის მოყვარულები. იგი რამდენიმე წელი თამაშობდა ეროვნულ ნაკრებში, გამოდიოდა ევროპის თასის ფინალურ მატჩში 1960 წელს პარიზში საბჭოთა ფეხბურთელთა წინააღმდეგ. ახლა ვიდინიჩი შვეიცარიის I ლიგის კლუბ „სიონში" გამოდის.

ვიდინიჩს საუცხოო ხმა და მუსიკალური განათლება აქვს. ადრე, როცა მეკარე თავისი სპორტული დიდების ზენიტში იყო, მან უარჰყო მილანის განთქმული თეატრის „ლა სკალას" მიწვევა და არ უღალატა ფეხბურთს.

პარიზის ჟურნალ „მირუარ დიუ ფუტბოლის" წარმომადგენელი ამას წინათ ეწვია ვიდინიჩს. ახლა მეკარე ფეხბურთის თამაშთან ერთად რადიო-დრამებსაც წერს, რომლებსაც სამშობლოში აგზავნის. ამ დრამებს ხშირად გადასცემენ ბელგრადის რადიოთი.

ვიდინიჩი კარგი მხატვარიცაა. კორესპონდენტმა დაათვალიერა მისი სურათების კოლექცია და დიდად შეაქო იგი. ახლა ვიდინიჩი მოჭანდაკეობითაა გატაცებული და აპირებს საკუთარი საგამოფენო სალონის მოწყობას.

## ფეხბურთის კალეიდოსკოპი

● **ბელგრადი.** იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციის დადგენილებით, 30 წელს გადაცილებულ მოთამაშეებს შეუძლიათ უცხოეთში წასვლა და პროფესიულ კლუბებში თამაში. ახლა მათი უმეტესობა გფრ-ში მიდის, სადაც მწვრთნელებად მუშაობენ წარსულში გამოჩენილი იუგოსლაველი ოსტატები ჩაიკოვსკი და ზეარა. ცნობილი თავდამსხმელი ზებეცი, რომელიც „ალემანიაში" თამაშობს, მალე გფრ-ის I ლიგის ერთ-ერთი კლუბის მწვრთნელი გახდება, ხოლო ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი პოპოვიჩი „შტუტგარტში" გამოვა.

● **პარიზი.** საფრანგეთის თასის გათამაშების პირველ ეტაპზე, როგორც წესი, ერთმანეთს ხვდებიან სამოყვარულო და პროფესიული კლუბები. დიდი გამარჯვება იზეიმეს მოყვარულებმა. მათ გათამაშებიდან გამოიყვანეს ისეთი ცნობილი გუნდები, როგორებიცაა „მონაკო", „სენტ-ეტიენი", „ჟირონდა", „სტად ფრანსე", „სედანი" და „ლანი".

● **პრაღა.** ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთის ფედერაციამ უარი თქვა ვენის „რაპიდის" თხოვნაზე დაუთმოს მას ცნობილი მეკარე შროიფი 50 ათას დოლარად.

● **ბუდაპეშტი.** უნგრეთის ნაკრების მწვრთნელმა ლ. ბაროტიმ თავი მოუყარა I ლიგის გუნდებს — „ფერენცვაროშს", „ჩეპელს", მტკ-ს, „ჰონვედს", „უიპეშტსა" და „ვაშაშს". იგი ამოწმებს ნაკრების კანდიდატთა ფორმას. ბაროტის თანაშემწედ იმუშავებს ნაკრების ყოფილი ცენტრფორვარდი ჩორდაში.

● **ბელგრადი.** წლეულს პირველად ტარდება ევროპის ჩემპიონატი მოყვარულთა შორის. იუგოსლაველები აქ გამოდიან გუნდით, რომელიც 1968 წელს მონაწილეობას მიიღებს მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში.

● **ბუენოს-აირესი.** ბრაზილიის, არგენტინის, იტალიისა და ესპანეთის გუნდები მიიღებენ მონაწილეობას საინტერესო ტურნირში, რომელიც არგენტინის დამოუკიდებლობის 150 წლისთავს მიეძღვნება. ეს შეჯიბრება შედგება შემოდგომაზე, მსოფლიო პირველობის დამთავრების შემდეგ.

● **მეხიკო.** მექსიკაში საკმაოდ ოპტიმისტურად არიან განწყობილი მსოფლიო ჩემპიონატისადმი. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ი. ტრელესმა განაცხადა „ჩვენს ჯგუფში ინგლისელები I ადგილზე გავლენ. ეს ასეა, მაგრამ ჩვენ თამამად შეგვიძლია ვებრძოლოთ ფრანგებსა და ურუგვაელებს II ადგილისთვის".

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

**რედაქციის მისამართი:** თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო". **ტელეფონები:** რედაქტორი — 9-56-14, პასუხისმგებელი მდივანი — 9-56-47, სამდივნო — 8-95-30, სპორტული განყოფილება — 8-95-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 8-95-14, ფოტოლაბორატორია — 8-95-16, მემანქანეთა ბიურო — 8-95-11, გამომშვები — 8-93-81.

ИНДЕКС 66118

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 11.

უე 05826